

ახალი უმაღლესი სასწავლებლის 2017 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის ანალიზი

1. შესავალი

განათლების უფლება დიდი ხანია აღიარებულია არა მხოლოდ როგორც ხელმისაწვდომობა განათლებაზე, არამედ ასევე ვალდებულება აღმოიფხვრას ყველა სახის ხარვეზი სისტემის ყველა დონეზე და დამტკიცდეს მინიმალური სტანდარტები ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ 2013 წელს შემუშავებულ იქნა განვითარების 6 წლიანი (2014-2019) სტრატეგიული გეგმა, რომლის გათვალისწინებით ყოველ სასწავლო წელს განისაზღვრება მოკლევადიანი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები. სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია პრიორიტეტები და მიზნები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებით სტუდენტთა დასაქმებასა და თვითდასაქმების შესაძლებლობას, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პოტენციალის განვითარებას.

სამოქმედო გეგმა მთავარი მექანიზმია სტრატეგიული გეგმის უწყვეტი განხორციელებისათვის; მოიცავს სტრატეგიის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ ამოცანებსა თუ დაგეგმილ ღონისძიებებს.

ამ დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს ახალი უმაღლესი სასწავლებლის 2017 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის ანალიზი.

2. 2017 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის სტრუქტურა.

2017 წლის სამოქმედო გეგმა შედგება 5 ძირითადი მიმართულებისგან:

1. უსდ-ს სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფა;
2. უსდ-ს სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
3. უსდ-ს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა;
4. უსდ-ს სტუდენტთა წამახალისებელი აქტივობები;
5. უსდ-ს ინსტიტუციური განვითარება.

თითოეულ მიმართულებაში გაწერილია ჩასატარებელი ღონისძიებები, შესრულების ვადები (კვარტლების მიხედვით) და შემსრულებლები. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული მიმართულებების განვითარებაში მონაწილეობას იღებს სასწავლებლის თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეული. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდური მუშაობის პრინციპი წარმატების საწინდარია დაწესებულებისათვის. 2017 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმა იხილეთ დანართში N1.

3. სამოქმედო გეგმის განხორციელებით მიღწეული შედეგები და ანალიზი.

3.1 სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფის მიზნით დაგეგმილ 9 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 9 აქტივობა.

- 2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილი იყო მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების გადახედვა, შედეგად კი მათი სრულყოფა შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს, საჭიროების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება განხორციელდა I კვარტალში.

- სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანური რესურსის გადახედვა/განახლება, როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის. მაგ, 2017 წელს მოწვეულ იქნა ახალი კვალიფიცირებული პერსონალი, ასევე გამოცხადდა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.
- სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით უზრუნველყოფილ იქნა სხვადასხვა ინვენტარის შეძენა. ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზის შედეგად გამოვლინდა რომ ლექტორთა სრული უმრავლესობა სასწავლო პროცესში სწავლის მეთოდებიდან უფრო ხშირად იყენებენ ელექტრონულ სწავლებასა და პრეზენტაციებს.
- სწავლების ხარისხის ამაღლების, მომსახურების გაუმჯობესებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით უსდ-მ მოახდინა სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა ანკეტირება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კვლევის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით შეიმუშავა რეკომენდაციები.
- თანამედროვე მოთხოვნების პროგრესული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების, პროფესიული პრაქტიკის გავლისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პარტნიორული ურთიერთობები დამყარდა საქართველოს და უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან - საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან:
 - ✚ International Education Consultant;
 - ✚ შპს „აგის ჯორჯია პლიუსი“;
 - ✚ შპს „აგის ჯორჯია“;
 - ✚ ა(ა)იპ თავისუფალი განათლების აჯადემია;
 - ✚ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო;
 - ✚ ქ. კიევის ეკონომიკისა და სამართლის (კროკის) უკრაინის უნივერსიტეტი;
 - ✚ ბ.ბ. გოროდოვიკოვის სახელობის კალმიკის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობების გაღრმავების მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (ზემოთ ნახსენები დაწესებულებები). ასევე, გაიზარდა მათი ჩართულობის ხარისხი უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებაში, რაც დასტურდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმებით.
- ვინაიდან კურსდამთავრებულებმა უკეთ იციან დასაქმების პროცესში რა პრობლემას შეიძლება შეხვდეს ახალი (გამოუცდელი) კადრი, მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა ჩართულობის ზრდა სასწავლო პროგრამების სრულყოფაში. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ რომ სასწავლო პროგრამებზე მუშაობისას, კურსდამთავრებულთა ჩართულობა მაღალია.

- უსდ-ს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ცენტრის საქმიანობა შეგვიძლია შევაფასოთ დასაქმებულთა რაოდენობის გათვალისწინებით (მათ შორის კვალიფიკაციის შესაბამისად), 2017 წლის მონაცემების მიხედვით.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საფინანსო სამსახურის მიერ 2017 წლის ფინანსური გეგმა განალიზდა და გაიწერა მომდევნო წლის მოსალოდნელი ხარჯი.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა/მოდიფიცირება. (საჭიროებისამებრ)	X			
ადამიანური რესურსის გადახედვა/განახლება	X			
სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება	X			
სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე უზრუნველყოფის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების შედეგების ანალიზი და მათი გათვალისწინება	X			
თანამედროვე მოთხოვნების	X			

<p>პროგრესული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების, სტუდენტთა მობილობის, პროფესიული პრაქტიკის გავლისა და დასაქმების ხეშეწყობის მიზნით პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საქართველოს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან - საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან</p>				
<p>პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობების გაღრმავება და მათი ჩართულობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებაში</p>	X			
<p>კურსდამთავრებულთა ჩართულობის ზრდა სასწავლო პროგრამების გაუმჯობესება/სრულყოფაში</p>	X			
<p>სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ცენტრის საქმიანობის სრულყოფა/განვითარება.</p>	X			

<p>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფინანსური გეგმის გაანალიზება და მომდევნო წლის მოსალოდნელი ხარჯის გაწერა</p>	X			
--	---	--	--	--

3.2 სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი 5 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 5.

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2017 წლის 5 აპრილის დასკვნის საფუძველზე ახალ უმაღლესმა სასწავლებელმა დაიმატა სასწავლო ფართი (კორპუსი) სტუდენტური კვოტის მომატების მიზნით. სტუდენტური კვოტა გაიზარდა 400-დან 800-მდე.
- უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, აგრეთვე სასწავლო ფართის დამატების გათვალისწინებით, განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაგ: სასწავლო ფართის დამატების შემდეგ მოეწყო და განახლდა საკონფერენციო დარბაზი.
- საჭიროების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით განახლდა და შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, სასწავლო და საოფისე ინვენტარი.
- ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემის ფონდი გამდიდრდა და შეივსო.
- სისტემატურად ახლდებოდა სიახლეებითა და სასარგებლო ინფორმაციებით სასწავლებლის ვებ-გვერდი. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ ხორციერდებოდა ვებ-გვერდის სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
----------	----------	---------------------	-------------	----------

სასწავლო ფართის (კორპუსის) დამატება სტუდენტური კვოტის მომატების მიზნით	X			
უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.	X			
უახლესი მოდელის კომპიუტერული ტექნიკის, ასლგადამღები აპარატურის, პროექტორების, სასწავლო და საოფისე ინვენტარის შეძენა/განახლება	X			
ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემების ფონდის გამდიდრება/შევსება	X			
ვებ-გვერდის სრულყოფა და სისტემატური განახლება	X			

3.3 უსდ-ს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი 6 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 6 აქტივობა.

- ჩატარდა უსდ-ს სტუდენტთა მეოთხე სამეცნიერო კონფერენცია.
- გამოიცა სტუდენტთა მესამე სამეცნიერო კონფერენციის თეზისების კრებული.
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით :

- ✚ ახალი უმაღლესი სასწავლებლის ორგანიზებით 2017 წლის 18-19 ნოემბერს გუდაურში, სასტუმრო „მარკო პოლოში“ ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია“.
- ✚ უსდ-ს დამფუძნებელი, რექტორი და დეკანი მივლინებულ იქნენ ქ.კიევის კროვის უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციაზე.
- ✚ უსდ-ს პროფესორ-მასწავლებლები , ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლები მივლინებულ იქნენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით იტალიაში ქ. რომსა და ქ. მილანში.
- სასწავლებლის რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „დიპლომატია და სამართალი“ მზადდება წელიწადში 2-ჯერ. ჟურნალი ელექტრონული და ბეჭდური ფორმით გამოდის ქართულ და ინგლისურ ენებზე. 2017 წელს შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრში გამოიცა N2 და N3.
- ახალი უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების მიერ მომზადებული სახელმძღვანელოების, სალექციო კურსების დაფინანსების ფარგლებში გამოიცა 3 ნაშრომები:
 - ✚ „ქველმოქმედება საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში“- ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ეკა ბუხრაშვილი
 - ✚ „ევროპის სოციალური პოლიტიკა“ - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ეკა ბუხრაშვილი
 - ✚ „საერთაშორისო ტერორიზმის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები“- სოციალური მეცნიერებების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი სოფო ჩქოფოია.

✚ „ტიციან ტაბიძე და XIX საუკუნის მწერლობა“ - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ხატია შევარდნაძე.

- უსდ-ს ცნობადობის ამადლების მიზნით, როგორც წლიური ფინანსური გეგმის გაანალიზებიდან ჩანს გაიხარჯა 15 ათას ლარზე მეტი, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 5 ათასი ლარით მეტია. მათ შორის, საქმიანი შეხვედრები განხორციელდა ქ. ვარშავაში, ქ.კიევში, ქ.ბათუმში. აგრეთვე შპს ტელეიმედთან დაიდო ხელშეკრულება სარეკლამო მომსახურეობის შესახებ, რაც ითვალისწინებდა საეთერო პროგრამაში პროდუქტის განთავსებას - ინტეგრაცია პროგრამაში სიუჟეტისა და სტუმრობის სახით.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
სტუდენტთა მეოთხე სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება	X			
სტუდენტთა მეოთხე სამეცნიერო კონფერენციის თეზისების კრებულის გამოცემა	X			
უსდ-ს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესორ-მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში	X			
უსდ-ს სამეცნიერო ჟურნალის მომზადება და პერიოდული გამოცემა	X			

უსდ-ს პროფესორ- მასწავლებლების მიერ მომზადებული სახელმძღვანელოებისა და სალექციო კურსების სრული/ნაწილობრივი დაფინანსება	X			
უსდ-ს ცნობადობის ამაღლების მიზნით პიარის მხარდაჭერა (სარეკლამო მომსახურების მიღება)	X			

3.4 უსდ-ში დაგეგმილი სტუდენტთა წამახალისებელი 4 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 4 აქტივობა.

- სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს სწავლის საფასურში გაეწიათ შეღავათები. მსგავს მხარდაჭერას ადგილი ჰქონდა სასწავლო წლის ნებისმიერ კვარტალში, სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით.
- მოტივაციის ამაღლების მიზნით უსდ-ს სასწავლო გრანტი 1000-1000 ლარის ოდენობით გადაეცა ყველაზე რეიტინგულ 2 სტუდენტს.
- უსდ-ს მიერ ორგანიზებულ პროექტში გამარჯვებული 4 პირი (მათ შორის მობილობის წესით ჩარიცხულთა წახალისების მიზნით ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე 1 სტუდენტი და 1 ადმინისტრაციის თანამშრომელი) მივლინებულ იქნა ქ. მიუნხენში.
- სტუდენტთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობის, ასევე მოტივაციის ამაღლების მიზნით, უსდ-ს მიერ ორგანიზებულ მეოთხე სამეცნიერო

სტუდენტურ კონფერენციაზე გამარჯვებული 4 პირი (მათ შორის 1 ახალი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი) მივლინებულ იქნა კაბადოკიაში.

- 2017 წლის 27 ოქტომბერს ჩატარდა სტუდენტური თვითმმართველობის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც გამარჯვდა ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტმა- ნინო სალუქვაძემ.
- აქტიური სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით ფინანსდებოდა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ექსკურსიები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები. მაგ:

- ✚ ექსკურსიები რაჭასა და ძამას ხეობაში.

- ✚ ახალი უმაღლესი სასწავლებლის ორგანიზებით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?. მონაწილეობა მიიღო თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის გუნდებმა.

- ✚ სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ბორჯომში ჩატარებულ საჯომარდო ტურნირში

- ✚ ახალი უმაღლესი სასწავლებლის ორგანიზებით ჩატარდა ტურნირი შაშში. მონაწილეობა მიიღო თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

ფინანსური გეგმის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 18 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა სტუდენტთა წამახალისებელი აქტივობებისათვის (სტიპენდია, გრანტი, თვითმმართველობისათვის გამოყოფილი თანხები და ა.შ) , რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 6 ათასი ლარით მეტია.

- პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა საჯარო ლექცია-სემინარები:

- ✚ Growing and Managing your offline and online business. Trainers : Giorgi Agirbaia and Olga Lishchuk,

- ✚ პროფესორი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი - ნინო ცერცვაძე თემით „აზრები ფიქრებზე“.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადასახადში შეღავათების გაწევა.	X			
სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება	X			
სტუდენტური თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ექსკურსიების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა (დაფინანსება)	X			
პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჯარო ლექცია-სემინარების მოწყობა.	X			

3.5 უსდ-ს მიერ დაგეგმილი ინსტიტუციური განვითარების მიზნით დაგეგმილი 11 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 11 აქტივობა.

- შეიქმნა „ახალი უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევითი“ ცენტრი.
- შეიქმნა „უწყვეტი განათლების ცენტრი“.
- შეიქმნა ნიუ უნის ტურისტული ცენტრი „ნიუ-თრეველი“.
- შეიქმნა ახალი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა კლუბი.

- ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე განხილვისა და აკადემიური საბჭოს ოქმი N3 (26.12.2017) საფუძველზე დამტკიცდა უსდ-ს ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისია.
- განახლდა უსდ-დ სტრუქტურა, აგრეთვე დამტკიცდა სტრუქტურული ერთეულების დებულებები და წესები განახლებული რედაქციით.
- შეიქმნა სამოქმედო გეგმის (3 წლიანი) და სტრატეგიული განვითარების გეგმის (7 წლიანი) შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფი.
- სამოქმედო გეგმის (3 წლიანი) და სტრატეგიული განვითარების გეგმის (7 წლიანი) შესრულებაზე ყოველწლიური მონიტორინგის განხორციელების და მიღებული შედეგების შესახებ ანგარიშის წარდგენის მიზნით, შეიქმნა მუდმივმოქმედი ჯგუფი.
- რეაქრედიტაციის პროცესის პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდა:
 - ✚ პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები- მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები;
 - ✚ პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
 - ✚ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესი;
 - ✚ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია/წესი;
 - ✚ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა;
 - ✚ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
 - ✚ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია პროგრამების შესაბამისად;
 - ✚ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
 - ✚ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება ახალი რედაქციით;
 - ✚ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
 - ✚ ახალი უმაღლესი სასწავლებლის შინაგანაწესი განახლებული რედაქციით;
 - ✚ ახალი უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საბჭოს დებულება განახლებული რედაქციით;
 - ✚ ახალი უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალის არჩევის წესი განახლებული რედაქციით;
 - ✚ საშტატო განრიგი ახალი რედაქციით.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციის მიზნით, მოქმედი სტანდარტების შესაბამისად შეიქმნა სამუშაო ჯგუფები მოქმედი პროგრამების გათვალისწინებით.
- უსდ-ს ავტორიზაციის მომზადებისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნა	X			
უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნა	X			
უსდ-ს ტურისტული ცენტრის შექმნა	X			
კურსდამთავრებულთა კლუბის შექმნა	X			
უსდ-ს ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისიის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მოდულიზაცია	X			
უსდ-ს სტრუქტურის განახლება	X			
სამოქმედო გეგმის (3 წლიანი) და სტრატეგიული განვითარების გეგმის (7 წლიანი) შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფის შექმნა	X			

<p>სამოქმედო გეგმის (3 წლიანი) და სტრატეგიული განვითარების გეგმის (7 წლიანი) შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი მუდმივმოქმედი ჯგუფის შექმნა</p>	X			
<p>რეაქრედიტაციის პროცესის პროგრამული უზრუნველყოფა</p>	X			
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაციის მიზნით, სამუშაო ჯგუფების შექმნა მოქმედი პროგრამების შესაბამისად</p>	X			
<p>უსდ-ს ავტორიზაციის მომზადებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნა</p>	X			